საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 519

თბილისი „06“ 06 2017 წ

2016-2017 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ტურებში გამარჯვებული ოლიმპიადის მონაწილეებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაჯილდოებისა და დაჯილდოების ორგანიზაციული უზრუნველყოფის საკითხების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ზ“ და „მ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 26 ოქტომბრის N111/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის“ 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე და 25-ე მუხლებისა და „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 18 იანვრის N96 ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამის“ „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამის“ საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 მაისის N548960 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2016-2017 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის:

ა) პირველი ადგილის მფლობელ (გამარჯვებულ) თითოეულ მონაწილეს გადაეცეს:

ა.ა) კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების 1000 ლარიანი სასაჩუქრე ბარათი (პრიზი) ამ ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად;

ა.ბ) პირველი ხარისხის დიპლომი;

ბ) მეორე ადგილის მფლობელ (გამარჯვებულ) თითოეულ მონაწილეს გადაეცეს:

ბ.ა) კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების 700 ლარიანი სასაჩუქრე ბარათი (პრიზი) ამ ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ.ბ) მეორე ხარისხის დიპლომი;

გ) მესამე ადგილის მფლობელ (გამარჯვებულ) თითოეულ მონაწილეს გადაეცეს:

გ.ა) კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების 500 ლარიანი სასაჩუქრე ბარათი (პრიზი) ამ ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად;

გ.ბ) მესამე ხარისხის დიპლომი;

დ) მე-4 - მე-10 ადგილის მფლობელ (გამარჯვებულ) თითოეულ მონაწილეს გადაეცეს:

დ.ა) კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების 50 ლარიანი სასაჩუქრე ბარათი (პრიზი) ამ ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად;

დ.ბ) სიგელი;

ე) საგნის შესაბამისად შექმნილი რეიტინგული სიის პირველ 3 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას გადაეცეს მადლობის სიგელები ამ ბრძანების დანართი 3-ის შესაბამისად;

2. 2016-2017 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ტურებში გამარჯვებული ოლიმპიადის მონაწილეებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაჯილდოების ორგანიზაციული საკითხები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 4-ის შესაბამისად.

3. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

ალექსანდრე ჯეჯელავა